

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №625

2021 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

ელექტროენერჯის ზოგიერთ მწარმოებელზე (თბოელექტროსადგურებზე) საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ

მუხლი 1

„ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 134-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქვეყნის ელექტროენერჯეტიკული სისტემის სტაბილურობისთვის, უსაფრთხოებისა და საიმედოობისთვის, მათ შორის, ელექტროენერჯის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვროს საჯარო მომსახურების გამწევ ელექტროენერჯის მწარმოებელთა ნუსხა, გარანტირებული სიმძლავრეები და გარანტირებით უზრუნველყოფის პერიოდი:

საჯარო მომსახურების გამწევი ელექტროენერჯის მწარმოებლები (წარმოების ლიცენზიატები)	თბოელექტროსადგურის დასახელება	სიმძლავრე (მგვტ-ში)	უზრუნველყოფის პერიოდი
1. შპს „მტკვარი ენერჯი“	გარდაბნის თბოელექტროსადგური, №9 ენერგობლოკი	180	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე
2. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“	გარდაბნის თბოელექტროსადგური №3 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე
	გარდაბნის თბოელექტროსადგური №4 ენერგობლოკი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე
3. შპს „ჯიფაუერი“	აირტურბინული ელექტროსადგური	80	2010 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 სექტემბრამდე 2012 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 თებერვლამდე

არაოფიციალური ვერსია

			და 2016 წლის 1 აპრილიდან 2019 წლის 4 მარტამდე
		65	2011 წლის 1 მარტიდან 2012 წლის 1 აპრილამდე და 2014 წლის 1 თებერვლიდან 2016 წლის 1 აპრილამდე
		60	2019 წლის 4 მარტიდან 2024 წლის 1 ივლისამდე, ხოლო 2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 ივლისამდე განისაზღვროს ავარიული სწრაფი რეზერვის წყაროდ
4. შპს „გარდაზნის თბოსადგური“	გარდაზნის თბოსადგური	162	2015 წლის 1 ნოემბრიდან 2040 წლის 1 ნოემბრამდე
5. შპს „გარდაზნის თბოსადგური-2“	გარდაზნის თბოსადგური 2	170	2024 წლის 1 ივლისიდან 2035 წლის 28 მარტამდე

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის დადგენილება №90 – ვებგვერდი, 28.02.2022წ.
 საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №439 – ვებგვერდი, 29.08.2022წ.
 საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 მარტის დადგენილება №125 – ვებგვერდი, 29.03.2023წ.
 საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 ივნისის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 20.06.2023წ.
 საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 ივნისის დადგენილება №240 – ვებგვერდი, 29.06.2023წ.

მუხლი 2

1. ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული საჯარო მომსახურების გამწევი ელექტროენერჯის მწარმოებლები (შესატყვისი ელექტროსადგურების მეშვეობითა და ვადით) საჯარო მომსახურებას ახორციელებენ საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციის (სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“) მეშვეობით, ელექტროენერჯის ბაზრის სამიზნე მოდელზე გადასვლის ეტაპებზე კონცეფციით გათვალისწინებული საბითუმო საჯარო მომსახურების მიზნებისთვის, ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობისთვის, უსაფრთხოებისა და საიმედოობისთვის, მათ შორის, ელექტროენერჯის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით.

2. დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული საჯარო მომსახურების გამწევი მწარმოებლები ელექტროენერჯის დღით ადრე და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრების:

- ა) ამოქმედებამდე, თავიანთ მომსახურებას აგრძელებენ გარდამავალ პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) ამოქმედების შემდეგ, „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246

დადგენილების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვაჭრობენ ორგანიზებულ ბაზრებზე კონცეფციის, შესაბამისი ბაზრის წესების, კონცეფციით გათვალისწინებულ საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციასთან გაფორმებული ფასთა სხვაობის ხელშეკრულებების, ასევე გადამცემი სისტემის ოპერატორთან/საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობების შესაბამისად.

3. შპს „ჯიფაუერმა“, არაუგვიანეს 2023 წლის 23 ივნისამდე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მიმართოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორს აირტურბინული ელექტროსადგურის მეშვეობით ავარიულ სწრაფ რეზერვზე (სიმძლავრე 60 მეგავატი) ფიზიკური ტესტირების გარეშე კვალიფიკაციისა და დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის მოთხოვნით.

მუხლი 3

ამ დადგენილებით განსაზღვრული საჯარო მომსახურების ვალდებულების შესრულებისათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, ტარიფის დადგენის ან/და გადამცემი სისტემის ოპერატორის/საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის მხრიდან ასანაზღაურებელი სახელშეკრულებო კომპენსაციის განსაზღვრის საკითხი რეგულირდება „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტისა და 134-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

მუხლი 4

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს ამ დადგენილების ამოქმედებიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ამავე დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებების რეგულარული გადახედვა, მისი საჭიროებისა და ზემოქმედების შედეგების განსაზღვრის მიზნით და საქართველოს მთავრობისთვის სათანადო ინფორმაციისა და წინადადებების წარმოდგენა.

მუხლი 5

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №193 დადგენილება.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი